ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის

სამთავრობო კომისიის სხდომის შედეგების შესახებ

ოქმი N2

თბილისი 28-29 თებერვალი 2016

სხდომა დაიწყო 28 თებერვალს, დილის 09:35 სთ-ზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისიის (შემდგომში - კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია;
- საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მზია თოდუა;
- საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული;
- კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წარმომადგენელი ანა ნაცვლიშვილი.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენლები:

- სალომე ფრუძე - იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- მარიამ სხილაძე - იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:35 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კომისია, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის N623 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული „2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. გასაუბრებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების განსაზღვრა;
2. უცხო ენის ტესტირებაში გამარჯვებულ (მინიმუმ B1 დონე) იმ კანდიდატებთან გასაუბრება, რომლებიც 28 თებერვალს იყვნენ დაბარებულნი, მათი გვარების ანბანური თანმიმდევრობის შესაბამისად:

ირაკლი ადეიშვილი;

გიორგი ბადაშვილი;

ალექსანდრე ბარამიძე;

ევა გოცირიძე;

ანა დოლიძე;

კონსტანტინე კორკელია;

ნიკოლოზ ლეგაშვილი;

ნანა მჭედლიძე;

გიორგი პაპუაშვილი;

ნინო პეპანაშვილი.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებს შესთავაზა, რომ ორ დანარჩენ კანდიდატთან - მაკა სტივენსონსა და ლუიზა ხითარიშვილთან, გასაუბრების დღე და დრო გადაწყვეტილიყო დროულად, რადგან მათ შეძლებოდათ გასაუბრებაზე მოსვლის დროულად დაგეგმვა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ მაკა სტივენსონსა და ლუიზა ხითარიშვილთან გასაუბრება ჩატარებულიყო იმავე სხდომის ფარგლებში დღის ბოლოს, და გაწეულიყო ძალისხმევა გასაუბრებების იმავე დღეს დასასრულებლად. სამდივნოს მიეცა ინსტრუქცია, დაკავშირებოდა და მოეწვია ორივე კანდიდატი.

კომისიის წევრებმა განიხილეს კანდიდატებთან გასაუბრების პროცედურული საკითხები: თითოეული კანდიდატის მოსასმენად განისაზღვრა 30-40 წთ, რა დროსაც კანდიდატი მოკლედ გააცნობდა კომისიას თავისი პროფესიული ბიოგრაფიიდან გამომდინარე მოტივაციას, აგრეთვე კომისიის თითოეული წევრი რიგითობის მიხედვით დაუსვამდა ერთ ან

ორ შეკითხვას კანდიდატს, რომელსაც თითოეულ შეკითხვაზე პასუხისათვის მიეცემოდა 3-4 წუთი.

კომისიის წევრმა, ირაკლი ბურდულმა კომისიას შესთავაზა, თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვის მიზნით ჩამოყალიბებულიყო საერთო აუცილებელი კითხვები, რომელსაც ყველა კანდიდატს დაუსვამდნენ. კომისიის წევრის მოსაზრებით, კითხვები შინაარსობრივად და სირთულის ხარისხით მკვეთრად განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის თითოეულ წევრს უფლება აქვს, თავად განსაზღვროს თავისი შეკითხვის შინაარსი, რათა ჩამოუყალიბდეს კანდიდატზე აზრი, თუმცა შეკითხვები სირთულის დონით დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს და პასუხები - შედარებადი.

კომისიის წევრმა, ბატონმა ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ კანდიდატის მოტივაციის გაცნობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთი კანდიდატი ერთდროულად რამდენიმე კონკურსში მონაწილეობს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აგრეთვე შეფასების ფორმულარების შევსების წესთან დაკავშირებით და შეთანხმდნენ, რომ გასაუბრებების დასრულების შემდეგ თითოეული კანდიდატისათვის შევსებულ შეფასების ფორმას კომისიის თითოეული წევრი გადასცემდა სამდივნოს შედეგების დასათვლელად. ქულების დათვლა კი, დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად, მოხდებოდა თითოეული წევრის მიერ კანდიდატისათვის მიცემული შეფასების ქულების დაჯამებისა და შემფასებლების რაოდენობაზე გაყოფის გზით საშუალო ქულის გამოანგარიშებით. კომისიის წევრები შეჯერდნენ აგრეთვე, რომ შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც კანდიდატის პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, უნარ-ჩვევები, უცხო ენაში მისი ცოდნის დონე, ევროსაბჭოს მეორე ოფიციალური ენის ცოდნა, მოტივაცია, მორალური რეპუტაცია და ყველა სხვა, ევროპის საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული და დადგენილებით განსაზღვრული, კრიტერიუმი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანდიდატებიდან ზოგიერთი ცნობილი ადამიანია და თითოეულ წევრს თავისი აზრი შეიძლება ჰქონდეს მასთან დაკავშირებით, მაგრამ კომისია უნდა შეეცადოს, რომ თავისი შეხედულება და აზრი შეიქმნას თითოეულ კანდიდატზე გასაუბრებებიდან გამომდინარეც.

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილის შეფასებისგან თავის შეკავების სურვილი გამოთქვა კომისიის თავმჯდომარემ და ახსნა, რომ ეს კანდიდატი მას უჩივის სასამართლოში და მიუხედავად იმისა, რომ ამ კანდიდატისადმი ცუდად არ არის განწყობილი, თუ აღმოჩნდა, რომ გასაუბრების შედეგად ქულები არ იქნა კანდიდატისთვის მოსაწონი, ის აუცილებლად ამგვარ შედეგს სასამართლოში მიმდინარე დავას დაუკავშირებს.

ორი კანდიდატის შეფასებისაგან თავის შეკავებისა და თვითაცილების სურვილი გამოთქვა კომისიის წევრმა ანა ნაცვლიშვილმა, რომლის თქმით, ინტერესთა კონფლიქტის გამო არ სურდა, მონაწილეობა მიეღო ნიკოლოზ ლეგაშვილისა და მაკა სტივენსონის შეფასებაში.

იგივე სურვილი დააფიქსირა კომისიის წევრმა, უჩა ნანუაშვილმა, კანდიდატ მაკა სტივენსონის შეფასებისაგან თავის შეკავების თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ზოგადად, კომისიის ნებისმიერი წევრის აცილების საკითხთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის თითოეული წევრი თავისუფალია, თავისი შეხედულებისამებრ, შეაფასოს ან არ შეაფასოს ესა თუ ის კანდიდატი. რაც შეეხება

ინტერესთა კონფლიქტს, თუ ინტერესთა კონფლიქტად ჩაითვლება კანდიდატთან ნაცნობობა, მაშინ კომისია ვერ გაესაუბრება ვერც ერთ კანდიდატს, რადგან, პრაქტიკულად, ძალიამ ბევრი კანდიდატი ნაცნობი პირია კომისიის წევრებისათვის.

კომისიის წევრმა, ვახტანგ ხმალაძემ, გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო ზოგადად, ნებისმიერი კონკურსანტის მიმართ აცილების განხილვის პრინციპზე შეთანხმება.

კომისიის წევრის, უჩა ნანუაშვილის მოსაზრებით, კომისიის შემადგენლობის გათვალისწინებით, წევრების აცილების თემაზე კითხვები არ უნდა არსებობდეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წესები თავდაპირველად უფრო მსუბუქი და ნაკლებად მომთხოვნი იყო, შემდეგ კი მოხდა მათი გამკაცრება. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის წევრი, ეკა ბესელია, რომელმაც დასძინა, რომ ევროსაბჭოს შეფასების სტანდარტიც შეცვლილია. კანდიდატებთან მიდგომა განსხვავებულად მკაცრი და კრიტიკულია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ წევრს არ უნდა, რომ რომელიმე კანდიდატი შეაფასოს, მისი იძულება არ შეიძლება მოხდეს.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ, კანდიდატების ინტერესებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა და თითოეულ კანდიდატთან გასაუბრების ჩანაწერი, სხდომის ოქმთან ერთად, დაერთვება თითოეული კანდიდატის საქმეს.

პროცედურული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა მედიის წარმომადგენლებს სხდომის გახსნაზე დასწრება, მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვით. კომისიის სამდივნოს წარმომადგენელმა კომისიის წევრებს განუმარტა აგრეთვე, რომ წინასწარი რეგისტრაცია გასაუბრებებზე დასწრების მიზნით გაიარა 5 მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელმა, რომელთაც უფლება აქვთ, თვალი ადევნონ გასაუბრების მიმდინარეობას მთავრობის დადგენილების შესაბამისად (აუდიოფაილი N 0).

პირველ კანდიდატთან, ირაკლი ადეიშვილთან, გასაუბრება დაიწყო 10:05 სთ-ზე.

კომისიის თავმჯდომარემ კანდიდატს განუმარტა გასაუბრების პროცედურა, რის შემდეგაც ირაკლი ადეიშვილმა კომისიის წინაშე დააყენა საკითხი კომისიის თავმჯდომარის - თეა წულუკიანისა და წევრის - ანა ნაცვლიშვილის აცილების შესახებ, იმ მოტივით, რომ კომისიის ამ წევრების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაკეთებული იყო მისი საწინააღმდეგო განცხადებები; აღნიშნულთან დაკავშირებით მას სამართლებრივი დავა აქვს კომისიის თავმჯდომარესთან.

კომისიის თავმჯდომარემ აცნობა კანდიდატს, რომ გასაუბრების დაწყებამდე მან უკვე განაცხადა რომ არ თვლიდა სწორად ამ კანდიდატის შეფასებას მიერ.

კომისიის წევრმა, ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ ანა ნაცვლიშვილის მიმართ ამ საფუძვლით აცილების დაყენება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლების (გამოხატვის თავისუფლების) შეზღუდვას.

კომისიის წევრმა, ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო განცხადებაში მას არ ჰქონია მოწოდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის, რა გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ ირაკლი

ადეიშვილთან მიმართებით და რომ ის არ მიიჩნევს, რომ არსებობს მის მიმართ აცილების საფუძველი.

კომისიის წევრის, შალვა თადუმაძის წინადადებისა და კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებთ, კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კანდიდატს, დაეტოვებინა სხდომა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

კომისიის წევრების აცილების მართლზომიერების საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა შალვა თადუმაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კანდიდატების უმრავლესობის სტატუსიდან გამომდინარე, კომისიის წევრები ხშირ შემთხვევაში პირადად იცნობენ მათ, თუმცა ეს არ შეიძლება იყოს მათი შეფასებისაგან თავის შეკავების საფუძველი, რადგან კომისიის თითოეულ წევრს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და აქვს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლეობის ღირსეული კანდიდატის შერჩევა უპირველესი ინტერესია ქვეყნისათვის, რომელიც ყოველგვარ პროფესიულ ნაცნობობაზე მაღლა დგას, ამასთან, დადგენილება არ ითვალისწინებს აცილების/თვითაცილების პროცედურას არა იმიტომ, რომ ამ საკითხის მოწესრიგება გამორჩენილია, არამედ იმიტომ, რომ შერჩევის მოცემულ პროცედურაში აცილების/თვითაცილების გამოყენება არ იქნა მიჩნეული საჭიროდ. შესაძლებელია, თეორიულად ნებისმიერმა კანდიდატმა თქვას, რომ კომისიის რომელიმე წევრს ის არ მოსწონს და ამიტომ მის მიმართ აქვს აცილება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კომისიის წევრების გარკვეული ოდენობა არ მიიღებს შეფასებაში მონაწილეობას და საბოლოო ჯამში შეიძლება გაიმარჯვოს იმ კანდიდატმა, რომელიც არ არის შესაფერისია ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე წარსადგენად. ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ თავისი მოსაზრება შეიძლება კომისიის რომელიმე წევრმა წარსულში ხმამაღლა თქვა, სხვა წევრმა - არა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო ანა ნაცვლიშვილი უნდა გამოეთიშოს შეფასებას.

კომისიის წევრმა, ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ სხვა კანდიდატმა, მაგალითად ევა გოცირიძემ, შეიძლება მას განუცხადოს აცილება, რადგან მას აქვს გარკვეული საჯარო განცხადებები გაკეთებული, მაგრამ ასეთი შუამდგომლობა მხოლოდ კანდიდატის დაბალ კვალიფიკაციაზე იმეტყველებს.

კომისიის წევრის, ვახტანგ ხმალაძის მოსაზრებით, ნებისმიერი ადამიანის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, შეგნებას ეფუძნება ან არ ეფუძნება. თუ ის უწესო ადამიანია, არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, თუ წესიერი ადამიანია, მიუხედავად თავისი სუბიექტური დამოკიდებულებისა, ის მაინც შეეცდება, რომ გადაწყვეტილება მიიღოს ობიექტურად.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ირაკლი ადეიშვილის შეფასებისაგან მისი აცილების შესახებ. თანხმობა გამოხატეს კომისიის თავმჯდომარემ და წევრმა - ანა ნაცვლიშვილმა. კომისიის სხვა წევრებმა მხარი არ დაუჭირეს აცილებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ასევე საკითხი ირაკლი ადეიშვილის შეფასებისაგან კომისიის წევრის - ანა ნაცვლიშვილის აცილების შესახებ. კომისიის არც ერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი აცილებას.

აცილების შუამდგომლობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კანდიდატს, შემოერთებოდა კომისიის სხდომას (აუდიოფაილი N1).

ირაკლი ადეიშვილთან გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიის წინაშე წარდგა გიორგი ბადაშვილი (აუდიოფაილი N2).

რიგით მესამე კომისიის წინაშე წარდგა ალექსანდრე ბარამიძე (აუდიოფაილი N 3).

ალექსანდრე ბარამიძესთან გასაუბრების დასრულების შემდეგ კომისიის სამდივნოს წარმომადგენელმა აცნობა კომისიას, რომ მართალია, დადგენილების შესაბამისად, გასაუბრებებზე დასწრების მიზნით წინასწარი რეგისტრაცია გაიარა მედიის 5-მა წარმომადგენელმა, მაგრამ ისინი გარედან მაუწყებლობენ, აქვთ დაგეგმილი ჩართვები და ამ ეტაპზე ჩართვებზე აკეთებენ აქცენტს. თუმცა, აქვთ სურვილი, რომ მოგვიანებით დაესწრონ ერთი რომელიმე კანდიდატის გასაუბრებას. აღნიშნულს არ დაეთანხმნენ მომდევნო კანდიდატები და განაცხადეს, რომ თუ თავიდანვე ყველა კანდიდატის გასაუბრებას არ დასწრებია მედია, მათ არ სურდათ მედიასთან ასეთი ფორმით კონტაქტი, რაც არათანასწორ პირობებში აყენებდა მათ.

შემდეგ კანდიდატად კომისიის წინაშე წარდგა ევა გოცირიძე (აუდიოფაილი N4).

რიგით მომდევნო კანდიდატად კომისიის წინაშე წარდგა ანა დოლიძე (აუდიოფაილი N5).

14:47 სთ-ზე კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

კომისიის სხდომა განახლდა 18:15 სთ-ზე.

სხდომის განახლების შემდეგ კომისიის წინაშე რიგ-რიგობით წარდგნენ კანდიდატები: კონსტანტინე კორკელია, ნიკოლოზ ლეგაშვილი, ნანა მჭედლიძე, გიორგი პაპუაშვილი, მაკა სტივენსონი, ლუიზა ხითარიშვილი (აუდიოფაილები NN6-11).

კანდიდატმა ნინო პეპანაშვილმა მასთან გასაუბრების დაწყებამდე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა და დატოვა გასაუბრების ადგილი, რის შესახებაც კომისიის წევრების წინაშე მოხდა სატელეფონო გასაუბრება სამდივნოსა და კანდიდატს შორის, რომელმაც კვლავ დაადასტურა, რომ დატოვა შენობა, რადგან მოხსნა კანდიდატურა.

გასაუბრებები დასრულდა 23:05 საათზე.

ყველა კანდიდატთან გასაუბრებების დასრულების შემდეგ, გაიმართა მსჯელობა პროცედურულ საკითხზე - შეგროვებულიყო ქულები მაშინვე, თუ მეორე დღეს გამართულიყო სხდომა. ანა ნაცვლიშვილმა, ვახტანგ ხმალაძემ და შალვა თადუმაძემ ისურვეს სხდომის შეწყვეტა და ქულების დაჯამების მიზნით მომდევნო დღეს შეკრება.

კომისიის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ის არ გაიზიარებდა ამას და რჩევა მისცა ყველა წევრს, რომ დაეჯამებინათ ქულები იქვე, მიუხედავად გადაღლილობისა. ეს საშუალებას მისცემდა კომისიას არ შექმნილიყო განცდა საზოგადოებაში, რომ წევრები დაიშალნენ, ერთმანეთში ან გარე ძალებთან შეთანხმდნენ და ისე დაწერეს ქულები. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო კომისიის გადაწყვეტილება, ის თავის ქულებს წევრების თვალწინ მათივე ხელმოწერებით დალუქავდა და ჩააბარებდა სამდივნოს. ამ მიდგომას მხარი დაუჭირა ეკა ბესელიამ და კომისიის ყველა წევრმა, რის შედეგადაც დაიწყო კომისიის წევრების მიერ ქულებზე მუშაობის დასრულება ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად.

კომისიის სამდივნომ შეაგროვა კომისიის წევრების მიერ თითოეული კანდიდატისათვის მიკუთვნებული ქულები ინდივიდუალური ფორმების სახით, დააჯამა ინდივიდუალური

ქულები კომისიის წევრების თვალწინ, დაჯამებული ქულები გაიყო შემფასებლების ოდენობაზე და გამოყვანილ იქნა თითოეული კანდიდატისათვის საშუალო ჯამური ქულები:

1. ალექსანდრე ბარამიძე - 4.68
2. ნანა მჭედლიძე - 4.55
3. გიორგი ბადაშვილი - 4.37
4. ანა დოლიძე - 4.15
5. ევა გოცირიძე - 3.77
6. კონსტანტინე კორკელია - 3.59
7. მაკა სტივენსონი - 3
8. ნიკოლოზ ლეგაშვილი - 1.95
9. გიორგი პაპუაშვილი - 1.86
10. ლუიზა ხითარიშვილი - 1.45
11. ირაკლი ადეიშვილი - 1.25

ზემომოყვანილი სია, მთავრობის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად და ევროსაბჭოს სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, დაიყო ორ სიად:

1. ნანა მჭედლიძე - 4.55
2. ანა დოლიძე - 4.15
3. ევა გოცირიძე - 3.77
4. მაკა სტივენსონი - 3
5. ლუიზა ხითარიშვილი - 1.45

და

1. ალექსანდრე ბარამიძე - 4.68
2. გიორგი ბადაშვილი - 4.37
3. კონსტანტინე კორკელია - 3.59
4. ნიკოლოზ ლეგაშვილი - 1.95
5. გიორგი პაპუაშვილი - 1.86
6. ირაკლი ადეიშვილი - 1.25

კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი არ შეუფასებია კომისიის თავმჯდომარეს, თეა წულუკიანს.

კანდიდატი მაკა სტივენსონი არ შეაფასეს კომისიის წევრებმა - უჩა ნანუაშვილმა და ანა ნაცვლიშვილმა. კანდიდატი ნიკოლოზ ლეგაშვილი არ შეაფასა კომისიის წევრმა, ანა ნაცვლიშვილმა.

კანდიდატი ანა დოლიძე არ შეუფასებია კომისიის წევრს, ეკა ბესელიას, რამდენადაც კომისიის წევრი ამ კანდიდატის გასაუბრების პროცესს ვერ დაესწრო.

კომისიის სამდივნომ, დებულების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიას წარუდგინა საშუალო ჯამური ქულების კლებადობის მიხედვით კანდიდატთა ორი ზემომოყვანილი სია, რომლებიც დამტკიცებულ იქნა ხმათა უმრავლესობით - კომისიის 9 წევრის მიერ (აუდიოფაილი N12). ეკა ბესელია და მამუკა ვასაძე, რომლებიც ესწრებოდნენ ქულების დაჯამების პროცესის დიდ ნაწილს, არ ესწრებოდნენ სიების დამტკიცების ეტაპს.

დადგენილების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ, ხმათა უმრავლესობით (9 წევრი მომხრე, 0 წინააღმდეგი) შეადგინა 5 კანდიდატისაგან შემდგარი სია, საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად (აუდიოფაილი N13):

1. ალექსანდრე ბარამიძე - 4.68
2. ნანა მჭედლიძე - 4.55
3. გიორგი ბადაშვილი - 4.37
4. ანა დოლიძე - 4.15
5. ევა გოცირიძე - 3.77

ეკა ბესელია და მამუკა ვასაძე არ ესწრებოდნენ სიის დამტკიცების ეტაპს.

კომისიამ მუშაობა დაასრულა 29 თებერვალს, 00:35სთ-ზე.

კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს იუსტიციის მინისტრი
თეა წულუკიანი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
ხათუნა თოთლაძე

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი
შალვა თადუმაძე

საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე

მამუკა ვასაძე

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ვახტანგ ხმალაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

მზია თოდუა

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე

ზაზა ხატიაშვილი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული

კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ წარმომადგენელი ანა ნაცვლიშვილი ა. ნაცვლიშვილი 22.03.2016

შენიშვნა: ოქმში ის არის ასახული ექსკლუზიური მიმოწერილობანი ინფორმაცია, ამიტომ, ოქმს თან დაერთოთ ჩემს მიერ 22.03.2016-ში წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.